



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

18 მარტი 2024



N 144/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძეგვში შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავების (13 600 მ³ მოცულობის ნავთობბაზა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძეგვში არსებული ნავთობპროდუქტების საცავების (13 600 მ³ მოცულობის ნავთობბაზა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2017 წლის 21 ივნისს შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავების (13 600 მ³ მოცულობის ნავთობბაზა) ექსპლუატაციაზე გაცემულია №38 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2020 წლის 29 დეკემბერს, აღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1244).

სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ 13 600 მ³ მოცულობის ნავთობბაზა განთავსებულია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძეგვში კომპანიის საკუთრებაში არსებულ 47 000 მ² ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №72.11.02.144). ნავთობბაზის ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 350 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მტკვარი – 100 მეტრით. ნავთობბაზის ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 15 მეტრში განთავსებულია შპს „ვივას“ ნავთობგადამამუშავებელი საწარმო, 50 მეტრში – შპს „ამბ ჯგუფის“ ბიტუმის მიმღები საწარმო, 80 მეტრში – შპს „ცეკურის“ ხის დამუშავების, ქაღალდისა და სამშენებლო მასალების საწარმოები, 120 მეტრში – შპს „გზამშენი 2-ის“ ასფალტის და შპს „ვაჟის“ სამშენებლო მასალების საწარმოები, 150 მეტრში – შპს „გონიოს“, ხოლო 190 მეტრში – ინდ. მეწარმე ბადრი წერეთლის სამშენებლო მასალების საწარმოები.

სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება), 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით (საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა), აგრეთვე, ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტზე შედგა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №086317 და №072992 ოქმები, რომლებიც განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 9 ივნისის №4-1/361-23 დადგენილებით, კომპანია ცნობილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა, 5 000 ლარის ოდენობით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნავთობბაზის ტერიტორიაზე განთავსებულია ჯამურად 13 600 მ³ მოცულობის მქონე სარეზერვუარო პარკი, რომელიც მოიცავს 18 რეზერვუარს. აღნიშნული რეზერვუარებიდან ჯამურად 7 300 მ³ მოცულობის 9 ერთეული რეზერვუარი (1 ერთეული – 2 000 მ³; 5 ერთეული – 1 000 მ³ და 3 ერთეული – 100 მ³) განკუთვნილია ბენზინის საწვავისთვის, ხოლო ჯამურად 6 300 მ³ მოცულობის 9 ერთეული რეზერვუარი (6 ერთეული – 1 000 მ³ და 3 ერთეული – 100 მ³) განკუთვნილია დიზელის საწვავისთვის. ნავთობბაზის წლიური ტვირთბრუნვა შეადგენს 100 000 ტონა საწვავს (ბენზინი – 50 000 ტონა და დიზელი – 50 000 ტონა). ნავთობბაზის ტერიტორია შემოღობილია 1,8 მეტრი სიმაღლის რკინა-ბეტონის ღობით. ობიექტი ფუნქციონირებს წელიწადში 365 დღე, 24-საათიანი სამუშაო რეჟიმით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, შეიცვალა ნავთობპროდუქტების რეზერვუარების დანიშნულება და არსებული მდგომარეობით, ნავთობბაზის ტერიტორიაზე ბენზინის საწვავის შესანახად, ნაცვლად გზმ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ჯამურად 7 300 მ³ მოცულობის 9 ერთეული რეზერვუარისა, გამოიყენება ჯამურად 9 600 მ³ მოცულობის 15 ერთეული რეზერვუარი (9 ერთეული – 1 000 მ³ და 6 ერთეული – 100 მ³), ხოლო დიზელის საწვავის შესანახად, ნაცვლად 6 300 მ³ მოცულობის 9 ერთეული რეზერვუარისა, გამოიყენება ჯამურად 4 000 მ³ მოცულობის 3 ერთეული რეზერვუარი (1 ერთეული – 2000 მ³ და 2 ერთეული – 1 000 მ³). დოკუმენტის თანახმად, ობიექტის ტვირთბრუნვა დარჩა უცვლელი. გარდა ამისა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ნავთობბაზის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების გასაცემი კუნძულის შემადგენლობაში მოეწყო დამატებით ერთი გასაცემი პუნქტი, რომელიც აღჭურვილია 90 მ³/სთ წარმადობის 4 ერთეული ტუმბოთი, შესაბამისად, არსებული მდგომარეობით, ნავთობბაზის ტერიტორიაზე ნაცვლად გზმ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ნავთობპროდუქტების გასაცემი 2 პუნქტისა (ჯამურად 8 ერთეული ტუმბო, თითოეული – 90 მ³/სთ), ფუნქციონირებს 3 გასაცემი პუნქტი (ჯამურად 12 ერთეული ტუმბო, თითოეული – 90 მ³/სთ). ნავთობპროდუქტების გასაცემი კუნძულის შემადგენლობაში, აგრეთვე, დამონტაჟდა საწვავის დანამატის მიწოდების სისტემა, რომელიც განკუთვნილია როგორც ბენზინის, ისე დიზელის საწვავის გაცემის პროცესში ავტოცისტერნებში, შესაბამისი პროგრამის საშუალებით, დანამატის მიწოდებისთვის. აღნიშნული სისტემის შემადგენლობაში გათვალისწინებულია 3 ერთეული ავზი (თითოეული – 1 მ³), 5 ერთეული ტუმბო და დისპენსერები. ამასთან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ნავთობპროდუქტების გასაცემი კუნძულის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების გაწმენდის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მოეწყო დამატებით ერთი ორსაფეხურიანი ნავთობდამჭერი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნავთობბაზის ექსპლუატაციის ეტაპზე წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო, სახანძრო და ტექნიკური მიზნებისთვის, რომლითაც ობიექტი მარაგდება არსებული ჭაბურღილიდან. ნავთობბაზის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები იკრიბება საასენიზაციო ორმოში, რომლის დაცვაც ხდება პერიოდულად, საჭიროებისამებრ. რაც შეეხება სანიაღვრე წყლებს, ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილია სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემა და სამსაფეხურიანი ნავთობდამჭერი (სალექარი), რომლის ეფექტურობა შეადგენს 98,5%-ს და აღჭურვილია შესაბამისი ფილტრებით. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, დაბინძურებული სანიაღვრე წყლების გაწმენდის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ობიექტზე დამატებით მოეწყო ორსაფეხურიანი ნავთობდამჭერი, რომლის ეფექტურობა შეადგენს ნავთობპროდუქტებისათვის

99,9%-ს, ხოლო შეწონილი ნაწილაკებისათვის – 97%-ს. დოკუმენტის თანახმად, გაწმენდის შემდგომ ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლები შეწონილი ნაწილაკებისთვის, ნაცვლად 45,6 მგ/ლ-სა, შეადგენს 22,9 მგ/ლ-ს, ხოლო ნავთობპროდუქტებისთვის, ნაცვლად 0,30 მგ/ლ-სა – 0,012 მგ/ლ-ს. გაწმენდის შემდგომ, ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება მდ. მტკვარში, გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ წყალჩაშვების წერტილში (GPS კოორდინატები: X-469850; Y-4632638).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნავთობბაზის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი აქვს მავნე ნივთიერებების, კერძოდ, ნაჯერი და უჯერი ნახშირწყალბადების, გოგირდწყალბადის, ბეზოლის, ქსილოლის, ტულიოილისა და ეთილბენზოლის გამოყოფას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტის თანახმად, ობიექტის წლიური ტვირთბრუნვის შეცვლა არ განხორციელებულა, თუმცა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, გაიზარდა ბენზინის საწვავის ორთქლის გაფრქვევის წყაროების ხვედრითი წილი, ხოლო დიზელის საწვავის ორთქლის გაფრქვევის წყაროების ხვედრითი წილი შემცირდა. დოკუმენტში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, მოცემულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ასევე, აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას, გაზნევის ანგარიშში, ფონურ მაჩვენებლად გათვალისწინებულია მიმდებარედ არსებული საწარმოებიდან მოსალოდნელი გაფრქვევები. მიღებული შედეგების მიხედვით, ნავთობბაზის ექსპლუატაციის ეტაპზე, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია, უახლოეს მოსახლესთან, არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნავთობბაზის ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს ობიექტის ტერიტორიაზე არსებული დანადგარები (ტუმბოები). დოკუმენტში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ხმაურის ინსტრუმენტული გაზომვის შედეგები დღის საათებისთვის, სადაც მხედველობაში იქნა მიღებული მიმდებარედ არსებული ობიექტების ხმაურის ფონური მაჩვენებლები. მიღებული შედეგების თანახმად, უახლოეს მოსახლესთან, დღის საათებში, მიღებული ხმაურის დონე შეადგენს 46,7 დბა-ს, ხოლო ღამის საათებში ობიექტზე არსებული ხმაურწარმომქმნელი დანადგარები (ტუმბოები) არ ფუნქციონირებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნავთობბაზის ტერიტორიაზე წარმოიქმნება როგორც მუნიციპალური, ისე სახიფათო ნარჩენები, რომელთა შეგროვება ხდება სეპარირებულად, შესაბამის მარკირებულ კონტეინერებში. ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად. ნავთობბაზის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს მცხეთის მუნიციპალური დასუფთავების სამსახური, ხოლო სახიფათო ნარჩენები, მათ შორის ნავთობდამჭერებში წარმოქმნილი ნალექი, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადებაში ობიექტის ფუნქციონირების ეტაპზე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება განხილულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელების კუთხით. როგორც უკვე აღინიშნა, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას, გაზნევის ანგარიშში ფონურ მაჩვენებლად გათვალისწინებულია მიმდებარედ არსებული საწარმოებიდან მოსალოდნელი გაფრქვევები, ხოლო წარმოდგენილი ხმაურის ინსტრუმენტული გაზომვის შედეგების თანახმად, უახლოეს მოსახლესთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 46,7 დბა-ს. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, შპს „ლუკოილ“

ჯორჯიას“ ნავთობბაზისა და მიმდებარედ არსებული ობიექტების ერთობლივი ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ნავთობბაზის სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტი განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სამეწარმეოდ ათვისებულ ტერიტორიაზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ღონისძიებების სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლილებები არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ზრდასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ძეგვში შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავების (13 600 მ³ მოცულობის ნავთობბაზა) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ლუკოილ ჯორჯია“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2020 წლის 29 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1244) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „ლუკოილ ჯორჯია“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება;
4. შპს „ლუკოილ ჯორჯია“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება;
5. შპს „ლუკოილ ჯორჯია“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გათვალისწინებული იქნება ნავთობბაზის ტერიტორიაზე და უახლოეს მოსახლესთან ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგი (მონიტორინგის წერტილების კოორდინატების, სიხშირისა და მონიტორინგის შედეგების სააგენტოში წარმოდგენის პერიოდის მითითებით);

6. შპს „ლუკოილ ჯორჯიასთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2020 წლის 29 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1244) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
7. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
8. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
9. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

